

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა

**„ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების
პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში,
ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების
შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის
შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებულია „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარება.

2. „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსის ჩატარების მიზანია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის მიერ რეაბილიტაციის კურსის ჩატარება. ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის.

3. მომსახურების გაწევის ვადა: 2017 წლის თებერვლიდან 2017 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქ. ბათუმში 7 წლამდე ასაკის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგისტრირებული ბავშვები.

5. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს მიეკუთვნება: გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი, განვითარების ზოგადი (პერვაზიული) აშლილობა, მეტყველების განვითარების სპეციფიკური აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა და სხვა) მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები.

6. „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების რეაბილიტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების რეაბილიტაციის ღონისძიების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში (ადრეული ასაკის (36 თვემდე) ბავშვებთან);

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულება).

„ახალშობილთა სქრინინგი და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების სარეაბილიტაციო ღონისძიებების, ფასებისა და შესრულების წესის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებგვერდზე <http://batumi.ge/>.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 30 2659; მარინა რუხაძე.